

135
1911წ.



სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 254. კვირა, 13 მარტი 1911 წ. დამატების № 44

შენება და სიყვარული

დრამატული ზაგმა სამ ნაწილად

მ რ გ მ ნ ე ბ ა

ზღვისა ზვირთებო, შეუპოვარნო,
რად მიეფარედ ჩემს ნათელ თვალსა?..
ღელვილის გულის ტკბილ სახსოვარნო,
რად არ მიკიდებთ კვლავც ცეცხლის აღსა?!..
ვით ბავშვი ეტრფის მინდვრისა ყვავილს
და მასში ხედავს სიცოცხლის შევებას,—
ეგრევე ზვირთნო, სულს ტანჯვით აღვსილს
თქვენ გადმოსცემდით ცის ნეტარებას.
რა რიგ მიყვარდა, როცა საღამოს
მზე თქვენის კილით წიკლად ჰქრებოდა
და, ცის სარკენო, დღის შუქს საამოს
თქვენს გულზე თვალი ეხუტებოდა.
მაშინ მთოვარე, ნათლის მთოვარე,
ღამის მეუფედ გარდიქმნებოდა;
ყოველი არსი, ყოველი მხარე,
თითქოს მოკვდაო, მიყუჩდებოდა.
აწ განქრა ჩემთვის იგი შევენება!
ზვირთებო, ნაცვლად თქვენის სრბოლისა,
შავი ღრუბელი სულს ეფინება
და სამუდამოდ ცეცხლი ბრძოლისა
წამართვა შავმა ღამის გრივალმა...
ვზი მწარ ფიქრებით გარე-მოცული.
მხურს ერთხელ კადევ გიხილოთ თვალმა
და მერე, დეე, მომიკვდეს გულით.

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ველად

შიში (ხეზე ზის შაკრუნხუდა)
ძიძა (დადგნებუდი და თვალ-ცრემლიანი მუხის ძიქს შეჭ-
ფარებას)
ფერიები (ველზე ისვენებენ. ჰეჭა-ქუხიდა)
შიში. ეთერს სძინავს ცის გულზე,
დღისა ნათელი კრთება;
ციაგი-თვალთ მეუფე—
მთების გადაღმივ კვდება.
ფერსა იცვლის სამყარო,
სულ სხვა რიგ იმართება;
შავი ნისლი მთის თხემით
ზეცამდე იმართება.


სქექს და მიჭკის ღრუბელი,
აბობს არე-მარესა;
პირქვე ამხობს ვარსკვლავებს,
კლანკებს ესვრის მთვარესა.
შორს ავ-სული გაჰკივრს,
იორკეცეწს შევებას;
ქედს იხრის და აღიღებს,
ბნელის უკვდავებასა.
მსგავსი ღამე საზარა,
ნუმც დამდგარა ნუროდეს;
სიკვდილსა მოგანატრებს
გინდ სიცოცხლე გწყუროდეს.
ვინა სკოდა უფალსა,
მაღალს, მარად მყოფელსა,
რომ დაატება მეხი
ვერაგ წუთისოფელსა?!
ამირან თუ აეშვა
კავკასიის ქედითა
და მთა და ბარს, ტანჯული,
არყევს ძლიერ მკერდითა?!
ვაჰ, თუ ღმერთებს წაართვის
ცეცხლი მიმქრალ გულისა?..
ვაჰ, თუ დადგა დრო ეამი
სოფლის აღსასრულისა?!

ძიძა. არა, ქალი ავად არის,
ნაზ-ნარნარი, მზის სადარი;
მიტომია, რომ ირყევა
მალლა ცა და ძირს მთა-ბარი.
მისი მსგავსი სამყაროში;
სხვა საუნჯე არ საუნჯობს;
ის ღმერთია და იმის წინ
ყოველი არსი სდუმს და მუნჯობს.

როცა კრთიან მზის სხივები,
ციმციმებენ, თამაშობენ;
თვალსა და გულს იტაცებენ,
ლალობენ და ნარნარობენ,—
შეიგენით: მას ეტრფიან,
მის შევენებას შეამკობენ;
მისთვის ხელნი, მისთვის მკვდარნი,
მხოლოდ მისთვის აშვიკობენ.

როცა მთვარის ნელი 'შეჭი,
ილულებს, კვდება, დნება

კუთხისის ქართ. დრამატული დასის გასტროლების გამო



რეჟისორი მ. კორელი.
ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.



ნ. ჩხეიძე.
ა. ყალაბეგიშვილი.
ა. მურუსიძე.

მ. მდივანი.
ა. იმედაშვილი.
ი. ბარველი.

და მცხრალ მთვარეს, სევდიანი,
წუთის შვებას ეგედრება,—
შეიგენით: მისთვის უნდა,
მის შვენებას ენაცვლება
და ნელიად, შეუმჩნევლად,
დასტრფიალებს, თავს ევლება.


როცა ბაღში მარგალიტის
შადრეგენები ჩუხჩუხითა
ზე იწვევენ და აჯსებენ
ჰაერს სანეტარო ხმითა,—
შეიგენით: ითრობიან
მის შვენებას, სიამითა
და ყოველ მის წამწამთ კრხევას
გძმობიან გულის კვლითა.

როცა სტირის ყარამფილი,
ცისფერ იას ფერი კრთება
და ნარგიზი ტბის წიაღში

4 ფერია. უხვად ვასვა ბალსამოსი
მზეს, მზის შვილსა, მზისა დარსა
და მის არეს არ ვაკლებდემ,
მაცოცხლებელ ნიავ-ქარსა!

ყველა ერთად. მაშ, ასულო, გულ-მტირალო,
თუ გვაჩვენებ ტურფა ქალსა,—
ჩვენ განვკურნავთ, შევიყვარებთ,
ჩვენ ვაუქრობთ ცეცხლის აღსა!

ძიდა. ბაღჩას ვიყავ, ბაღჩა ვნახე,
მთვარე იყო სანახავად,
ვარდი მღერდა, მას ბუღბუღი
ზე დაჰყეფდა გულ-საკლავად.
ვარდას უთხარ: ვარდო, ვარდო,
შეიბრალე ტურფა ქალი,
წა იქ, მასთან გაიფურჩქნე,—
გეგედრები მომტირალი!
მითხრა: „ვიცნობ, მაგრამ ჩემგან
იმას შველა ვით ეგების?
ყოველი არსი მისით სცოცხლობს,



ორმო ფუზიადიანში, სადაც შავი ქირისაგან დახოცილები ჩაუყრიათ
დასაწვავად.

ნაღვლიანად იმზირება,—
შეიგენით: მას ეძებენ,
ყველა მისთვის ილაგება;
რა ვერ ხედვენ, გულს იკლავენ
და აღარ ჰსურთ აყვავება.

(ფერაები ძიძასთან მოგროვდებიან)

1 ფერია. მაშ, ასულო, გულ მტირალო,
თუ მაჩვენებ ტურფა ქალსა,—
ზე განვკურნავ, შევიყვარებ,
ზე ვაუქრობ ცეცხლის აღსა!

2. ფერია. მე მარგალიტს უხვად მივცემ
ნატერფალთა დასაფენად;
ცად აღვიყვან, ავამაღლებ,
რომ გადვიქცეთ ორნივ ღხენად!

3 ფერია. მე ვარსკვლავი მოუწყვიტო,
შვების ცეცხლი მოვიპარო;
წინ კვარცხლბეკად გაუშალო
მადლა ცა და ძირს საწყარო;
მის არიფად გადავიქცე
და აროდეს გავეყარო!

ყველა მისით იკურნების!“
ბუღბუღს აჯა გაუმართე—
დაეხმარე ფერ-გამკრთალსა;
რად ივიწყებ შენს მალხენარს?!
რად ღალატობ სამართალსა?!
მანც მომიგო: „ვიცნობ, ვიცნობ,
მას სახელად სძევს შვენება;
მასთან ყოფნა, მასთან კლომა,
როდის იყო, არ მენება?
მაგრამ ვაი! ვერ განვკურნავ
ჩემი მომზიბლავი ხმითა
და აქ მინდა ვივავლახო
სავსემ სევდა-კაეშნითა!“
მას დავეხხენ, მის მახლობლად
ბროწეული დავინახე,
არა უთხარ... ისედაც გარს
მოჰხვევოდა სივავლახე.
ვარდის ფერი რამ მიხაკი
შეჰყურებდა წაბლის ხესა
და წაბლის ხე ზე აფრქვევდა

კრემლს მღულარეს, კრემლს დამწველსა.
 ნარგის ყელი გადელარა,
 სევდით გული გაეგვირა;
 ზამბახს თავი დაცაქეკო,
 სასიკვდილოდ გაეწირა.
 ჩემსა პირველ ყვავილასა,
 მონარნარსა, გულ-დამტკბარსა, —
 ვერსად ვკვრეტდი, გადეტანა
 შორად... შორად... სევდის ქარსა!..
 ყველა სტირდა შეწებებისთვის,
 ყველა კვენდა მხოლოდ მისთვის
 და ვერაფრით ვერ ეშველა
 მოელვარე დიდის მზისთვის!..
 თქვენცა, ზეცის ტურფა ქაღნო,
 დობილნო და სულის სძაღნო, —
 მას ვერაფერს ვერ უშველით,
 საამო ხმით მომღერალნო!..

ფერიები. არა, ქალო, მომტირალო,
 გვაჩვენევი მისი ბინა;
 შევიყვარებთ... სიყვარულმა
 ნეტა ვინ არ მოარჩინა?!

ძიძა. უური მიგდეთ. მოკლედ გეტყვით
 მე იმის თავ-გარდასავალს
 და ერთ წუთად გადავაქცევ
 ორპოცი დღის საგზალ სავალს.

I

მზეც იყო და მთვარეც იყო,
 ცაზე ვარსკვლავები კრთოდნენ,
 უსულო და სულიერნი
 ბუნების ძალს შეამკობდნენ.
 ადამისა შთამომავალთ
 ერთი ვინმე ერჩეოდა;
 ცის და ქვეყნის მადლ-კურთხევა
 ორივე ერთათ ემჩნეოდა.
 მან ჩააქრო მთვარის შუქი,
 მან წაართვა ძალა მზესა...
 როცა ნახავთ მაშინ იგძნობთ
 მის შეწება-სიტურფესა.
 სახელად სძევს „სიყვარული“,
 ვაჟ-კაცია საროს ტანის;
 ყველა იყო მონა და ყმა
 მომხიბლავის, გულ-წამტანის!
 მაგრამ ის სულ სხვას ეძებდა:
 თავისვე მსგავსს, თავის დარსა;
 დადიოდა სოფელ-ქვეყნად,
 მრავლად ლახდა მთა და ბარსა
 და აჰაა, აუსრულდა
 საწადელი გულის მწველი:
 მან იქილა ტბის ნაპირას
 ქალი სანატრ-სასურველი.
 — შეწება ხარ ამა ქვეყნის! —
 გადასძახა ვაჟმა ქალსა...
 ქალმა უთხრა: „შეწება“ ვარ,
 გამოიცან... არ გდებ ბრალსა!
 დიახ, თურმე მის სახელი,
 თვით „შეწება“ ყოფილიყო,
 რომლის მსგავსი სიტურფითა
 ჯერ ქვეყნად არ მობილიყო.
 შეუყვარდათ ერთმანეთი
 შეწებას და სიყვარულსა;
 გადააქადეს, შეურთას
 სული სულსა, გული გულსა!
 ერთი წუთის განშორება,
 უკიდებდათ ცეცხლის აღსა
 და მარადის აღმერთებდა
 ქალი ვაჟს და ვაჟი ქალსა!..

II

რაა ქვეყნად სამუდამო,
 ერთგან მყოფი, შეუცვლელი?..
 ყოველ წუთში სახეს იცვლის


ეს სოფელი, გულის მკვლელი!..
 შხამ-ნალღელსა და სამსალას
 ვინ იყო, რომ არა სვაჰდა?
 ვინ იყო, რომ ქვეყნის ვარამს
 საბოლოოდ გაუმკლივდა?..
 სიყვარულსაც ზეცის რისხვა
 დაატება შავმა-ბედმა
 და კრემლთა ზღვით გამოუვსო
 თვალნი ყოვლის შემოქმედმა!..
 მის შეწება, მზის საღარი,
 ავად გახდა, იკლავს გულს
 და ქირთ წამალს ევედრება
 მისთვის ხელ-ქმნილ სიყვარულსა.
 რა არ სცადა ბედით-კრულმა,
 რა მალამო არ იხმარა,
 მაგრამ თვის ღმერთს შეწებასა
 ვერაფრით ვერ დაეხმარა.
 ქალი კვდება, კრემლად დნება,
 სიყვარული თავს ევლებს;
 ერთ ადგილას არ ჩერდება,
 სოფელ-ქვეყნათ იარება,
 მაგრამ ვერაფერსა ჰშველის...
 თქვენც აგრევე ვერ უშველით...
 და თუ ძალ-გიძთ განკურნება,
 მე წაგიყვანთ... ი-ხელით!

ფერიები. ასე, ქალო, მომტირალო,
 გვაჩვენევი მისი ბინა.
 ჩვენ აღვადგენთ... ჩვენმა ძალამ
 ნეტარ ვინ არ მოარჩინა?!

ძიძა. ჩუ, აგერა აქეთ მოდის
 სიყვარული ბედით-კრული;
 ხმა გაეცით... ასიამეთ...
 მოურჩინეთ გულის წყურული!
 (გველანი განზე გადაგვიან. ირაყრაყებს.)

ბ. ახოსპირელი.

(შემდეგი იქნება)



ივანე რახტაშვილი. მე რომ ჩემი გაზეთი „სინათლე“ არ მინა-
 თებდეს—აქამდის ხრამში გადავიჩეხებოდი!